



**სოციალური
ინოვაციები**
socialinnovation.ge

რა არის და რატომ გაგაკეთოთ ფინანსი?



SOCIALINNOVATION.GE

რა არის და როგორ გავაკეთოთ ფიჩინგი?

„ფიჩინგს“ სხვადასხვა კონტექსტში შესაძლოა სხვადასხვა განმარტება ჰქონდეს. თუმცა, ბიზნესნარებსა და სხვადასხვა კონკურსებში „ფიჩინგი“ დაკავშირებულია იდეების წარდგენასთან. სხვა სიტყვებით, ეს არის პრეზენტაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მორგებულია კონკრეტულ აუდიტორიასა და კონკრეტულ დროზე. „ფიჩინგი“ განსაკუთრებით აქტუალურია სტარტაპებთან მიმართებით. სტანდარტულად, ის კეთდება საკმაოდ მოკლე დროში და მომხსენებლის მიზანია დაარწმუნოს/გადმოიბიროს დამსწრე აუდიტორია იდეის პერსპექტიულობასა თუ მხარდაჭერაში.

მიუხედავად იმისა რომ არ არსებობს უნივერსალურად აღიარებული „რეცეპტი“ თუ როგორ უნდა გაკეთდეს „ფიჩინგი“ ეფექტურად, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით ადამიანებმა და ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი მის მოსამზადებლად:

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული რეკომენდაციები მორგებულია სოციალური ინოვაციების კონკურსზე.

01

მცირე დრო იდეის გადმოსაცემად

სტანდარტულად, „ფიჩინგის“ გასაკეთებლად მონაწილეებს ეძლევათ 3-დან 5-წუთამდე. შესაბამისად, აუცილებელია რომ ამ დროში ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელი თქვათ. ამისათვის, გამომსვლელი კარგად უნდა იყოს მომზადებული და ზუსტად ჰქონდეს გათვლილი წარდგენის დრო. მონაწილეთათვის თანასწორი გარემოს შესაქმნელად, გადაცილებული დრო ყოველთვის უარყოფით ფაქტორად ითვლება და მიანიშნებს გამომსვლელის მოუმზადებლობაზე.

02

დაიწყეთ პრობლემის აღწერით

მოკლედ აღწერეთ ის პრობლემა რის მოგვარებასაც ისახავს მიზნად პროექტი. მნიშვნელოვანია პრობლემა კონკრეტულად იყოს აღწერილი და არ იყოს ბუნდოვანი და აბსტრაქტული. შესაბამისად, აუცილებელია პრაქტიკული მაგალითებისა და ზუსტი რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენება.

03

რაში მდგომარეობს პრობლემის მოგვარების გზა და რითია ის გამორჩეული

რაში მდგომარეობს და რაზე დაყრდნობით წარმოიშვა თქვენი ინოვაციური იდეა რომლითაც პრობლემის მოგვარებას ან შემცირებას ისახავთ მიზნად? რატომ იმუშავებს მაინც და მაინც თქვენი იდეა? რითი არის ის განსხვავებული და გამორჩეული არსებული მოგვარების საშუალებებისაგან? გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს გამოგიცდიათ (დაგიტესტავთ) თუ არა თქვენი იდეა? ამასთან, მოკლედ გადმოცით რა გავლენა ექნება პროექტს პრობლემაზე დროთა განმავლობაში და როგორ გამოძავთ მას.

04

როგორია თქვენი ბიზნეს მოდელი?

მიუხედავად იმისა, რომ თქვენი იდეები დაკავშირებულია სოციალური პრობლემების მოგვარებასთან, გახსოვდეთ რომ ეს არ არის ფილანტროპია და ქველმოქმედება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბიზნეს მოდელის არსებობა- როგორ დააინტერესებთ მომხმარებელს და რა მიდგომებს გამოიყენებთ ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისათვის? ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია კონკრეტული ფინანსური მონაცემების გამოყენება.

05

მართვა და ადმინისტრირება

ფიჩინგის დროს სასურველია ისაუბროთ თქვენი თავისა და იმ გუნდის შესახებ, რომლითაც გეგმავთ იდეის განხორციელებას. პრეზენტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს საკითხი დასაწყისში ან სხვა მოსახერხებელ დროს ახსენოთ.

06

რისკების შემცირება

იდეაზე საუბრისას, კარგად უნდა გესმოდეთ ის რისკები რაც მის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ამასთან, მნიშვნელოვანია რისკის შემცირების რა მექანიზმები გაქვთ გათვალისწინებული.

07

ვიზუალური მხარე

წარდგენისას შესაძლებელია გამოიყენოთ თქვენთვის მოსახერხებელი ვიზუალური მასალები. თუმცა, მნიშვნელოვანია ეს ნაწილი ავსებდეს თქვენს გამოსვლას და არ იყოს გადატვირთული ზედმეტი ტექსტითა თუ ფოტოებით. ასევე, შესაძლებელია მცირემეტრაჟიანი ვიდეო რგოლის გამოყენება, თუმცა, აქაც გაითვალისწინეთ რომ ვიდეო პრეზენტაციისას მხოლოდ დამხმარე საშუალებაა და არა წამყვანი საშუალება.

08

დაასრულეთ საბოლოო შეთავაზებით

ისევე როგორც დასაწყისი, მნიშვნელოვანია რომ შეჯამებაც იყოს მაქსიმალურად ეფექტური. ამ შემთხვევაში, აუცილებელია დააბუსტოთ კონკრეტულად რისთვის მიმართავთ დამსწრე აუდიტორიას და რას მოელოთ მათგან.

თვალსაჩინოების სახით, იხილეთ არასწორად წარდგენილი ფიჩინგის მაგალითი და მისი გამოსწორების გზები.

დაბალი ხარისხის ფიჩინგი

- **პრობლემა:** ბევრ ადამიანს სამედიცინო მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდება.
- **გამოსავალი:** ჯანდაცვის სოციალურ მუშაკს ყველა სოფელში მივცეთ ერთი ელექტრონული პლანშეტი. შესაბამისად, საზოგადოების წევრებს, რომლებიც ავად არიან შეეძლებათ ადგილობრივ ჯანდაცვის მუშაკთან დაკავშირება და თავიანთი სიმპტომების აღწერა. ჯანდაცვის მუშაკი შეძლებს შეიყვანოს აღნიშნული სიმპტომები პლანშეტის მეშვეობით მონაცემთა ბაზაში, რომელიც შემდგომ იგზავნება ცენტრალური საავადმყოფოს ექიმებთან. ექიმები აფასებენ ავადმყოფის მდგომარეობას და სვამენ დიაგნოზს. შემდგომ დიაგნოზი იგზავნება უკან ადგილობრივი ჯანდაცვის მუშაკთან. ეს უკანასკნელი კი აწვდის ინფორმაციას პაციენტებს.
- **ინოვაცია:** ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მოსახლეობის სასარგებლოდ, რათა მათ შეძლონ კვალიფიციურ ექიმებთან დაკავშირება და მათგან შესაბამისი დახმარების მიღება დაავადების დიაგნოსტიკის სახით. ადგილობრივ ჯანდაცვის მუშაკს კი შეეძლება გამონერილი მკურნალობის დანიშვნა.
- **მტკიცებულება:** ექიმები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროგრამაში, უკვე უწევენ მაღალკვალიფიციურ დახმარებას პაციენტებს მსგავსი ფორმით და აქვთ გამოცდილებადა პრაქტიკა. შესაბამისად, დახმარება იქნება ზუსტი და სასარგებლო.
- **რა იქნება მოსალოდნელი ეფექტი?** ჩვენ ვაპირებთ დავიწყოთ 30 სოფელში. ველით, რომ ამ გზით თითოეულ სოფელში ავადობა შემცირდება 5%-ით პირველი წლის განმავლობაში.
- **ფინანსები და მართვა:** ამ პროექტს უხელმძღვანელებენ ძირითადად გამოცდილი ექიმები, რომლებიც ურთიერთობენ ადგილობრივ სამედიცინო პერსონალთან. ფინანსები დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივ სამედიცინო მუშაკებზე და პლანშეტების შეძენაზე.
- **იდეის ეტაპების აღწერილობა:** ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს ფინანსები 30 პლანშეტის შესაძენად და რამდენიმე ექიმის მზაობა, რომელთაც პროგრამაში ჩართვა სურთ.
- **შეთავაზება:** ვეძებთ ექიმებს, რომლებიც შემოუერთდებიან პროგრამასა და აგრეთვე ვაგროვებთ შემოწირულობებს დამატებითი პლანშეტების შესაძენად.

რატომ არის ეს ფიჩინგი დაბალი ხარისხის?

- **პრობლემა:** პრობლემის დასმა სასურველია უფრო კონკრეტულად.
- **გამოსავალი:** პირველ რიგში, პრობლემის გადაწყვეტა ეყრდნობა ტექნოლოგიებს და არ განიხილება ეს ტექნოლოგია იქნება თუ არა ხელმისაწვდომი და განხორციელებადი ადგილებზე. პლანშეტი თუ გაფუჭდა შეძლებენ თუ არა ადგილობრივები მის შეკეთებას ან ახლის შეძენას? როგორ ირჩევენ ადგილობრივი ჯანდაცვის მუ-

შაკვებს, რომ ისინი იყვნენ კვალიფიციური ასეთი სამუშაოს შესასრულებლად? პროგრამა გამორიცხავს პირდაპირ კონტაქტს პაციენტებსა და ექიმებს შორის. ამიტომ მკურნალობა არის ნაკლებად ინდივიდუალური და უფრო სავარაუდოა, რომ ის იქნება არაბუსტი. ასე მაგალითად, როცა პაციენტს დაუბრუნდებათ „დიაგნოზი“, როგორ შეძლებს ის ექიმისათვის კითხვების დასმას? და რაც უფრო მნიშვნელოვანია დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში, როგორ მიიღებენ ისინი სწორ და ხარისხიან მკურნალობას?

- **ინოვაცია:** როგორც უკვე აღვნიშნეთ ასეთი მიდგომისას სამედიცინო პრაქტიკას ცვლის წმინდა ელექტრონული საშუალება. არ არსებობს არავითარი მითითება, რომ ასეთი სახის ტექნოლოგია შეიძლება რეალურად გამოყენებულ იქნას სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში.
- **მტკიცებულება:** საიდან ვიცით, რომ ექიმები იქნებიან ბუსტნი დიაგნოზის დასმისას, როცა ისინი უშუალოდ არ ურთიერთობენ პაციენტებთან, არ სინჯავენ მათ ან თუნდაც არ იცნობენ ადგილობრივ კულტურას, კონტექსტს, გარემო პირობებსა და ადგილობრივ სამედიცინო მდგომარეობას?
- **რა იქნება მოსალოდნელი ეფექტი?** არანაირი განმარტება არ არის წარმოდგენილი რა იძლევა 5%-იანი სტატისტიკის დასკვნის შესაძლებლობას.
- **ფინანსები და მართვა:** ამ ნაწილში მეტისმეტად გამარტივებულია პროექტის მართვის საკითხები. არ არის გათვალისწინებული პლანშეტების მუშაობაზე თვალყურის დევნება და დარწმუნება, რამდენად სწორად არის ის გამოყენებული, აგრეთვე არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი სამედიცინო მუშაკებისათვის ტრენინგების ჩატარების საკითხი და მათთან კომუნიკაციის შენარჩუნების საკითხებები და ა. შ.
- **იდეის ეტაპების აღწერილობა:** რატომ შეირჩა 30 სოფელი? რატომ იყო 30 სანყისი რიცხვი? რამდენი ადგილობრივი სამედიცინო პერსონალი და ექიმი იყო შერჩეული?

როგორ ჯობია შესწორდეს ფიჩინგი?

- **პრობლემა:** მოსახლეობის X% ცხოვრობს სოფლად და არ აქვთ სამედიცინო კლინიკებზე ხელმისაწვდომობა.
- **გამოსავალი:** ჩვენ ვთანამშრომლობთ ადგილობრივ ექიმებთან, რომ გავუწიოთ სამედიცინო დახმარება სოფლის მოსახლეობას.
- **ინოვაცია:** ექიმები ყოველდღიურად ივლიან სოფლებში, სადაც ისინი მოახდენენ პაციენტების გასინჯვას, დიაგნოსტიკას და დაახლოებით 200-300 პაციენტს დაფარავენ ყოველ დღე. პაციენტის განმეორებით მონახულება მოხდება სულ მცირე თვეში ერთხელ.
- **დადასტურებულია:** დღევანდელი მონაცემებით ექიმები ემსახურებიან X რაოდენობის პაციენტებს ყოველწლიურად და წარმატების პროცენტული მაჩვენებელი არის დაახლოებით X%. ჩვენი მხარდაჭერით ისინი ასეთივე წარმატებითა და ხარისხიანად მოემსახურებიან სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი სამედიცინო მომსახურებაზე,

- **რა იქნება მოსალოდნელი ეფექტი?** ჩვენ შევამცირებთ განკურნებადი დაავადებების რაოდენობას და გავრცელებას, რადგან ვგეგმავთ წარმატებით ვუმკურნალოთ პაციენტების X რაოდენობას ერთი წლის განმავლობაში. ყოველ პაციენტს ექნება ელექტრონული სამედიცინო ბარათი, რომელსაც გასცემს ადგილობრივი კლინიკა და თითოეულ პაციენტს დაენიშნება უწყვეტი სამედიცინო მეთვალყურეობა. პაციენტების ჩანაწერები გაანალიზებული იქნება ყოველთვიურად. ამ დროს შეფასდება ყოველი პაციენტის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მაჩვენებლები და ზოგადად ჯანმრთელობის მდგომარეობა. ადგილობრივი ექიმები შეიმუშავებენ ახალ სამედიცინო და საგანმანათლებლო გეგმას ყოველი პაციენტისათვის, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.
- **ფინანსები და მართვა:** ჩვენ გამოვიყენებთ პროგრამისთვის მოპოვებულ გრანტებსა და ფინანსებს დაქირავებული ექიმების ხელფასებისათვის, რომლებიც იმუშავებენ ადგილობრივ კლინიკაში, და ავტომობილის ხარჯებისათვის.

რამდენიმე მაგალითი თუ რატომ არის შემდეგი ვერსია უკეთესი ხარისხის?

- **პრობლემა:** პრობლემა მეტად დაზუსტებულია, თუმცა სასურველია კიდევ მეტი სპეციფიკა.
- **გამოსავალი/ინოვაცია:** მოიცავს სამუშაოს ადგილობრივ ექიმებთან, რაც მეტად რეალისტური და ასევე მიზანშეწონილია
- **მტკიცებულება:** არსებობს მკაფიო მტკიცებულება მკურნალობის მაღალეფექტურობის შესახებ, რომელსაც ადგილობრივი ექიმები ჩაატარებენ.
- **მოსალოდნელი ეფექტი:** ეფექტი ეყრდნობა იმ პაციენტების რაოდენობის გათვლას, რომელსაც ექიმები რეალურად და წარმატებით მოემსახურებიან.



სოციალური
ინოვაციები
socialinnovation.ge